საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10. 10233353**
თარიღი:**01/12/2023**

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის" 180-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 103-ე, 104-ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ საჯარო მოხელეთა მობილობის წესის" მე-5, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის" 180-ე მუხლის საფუძველზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის, დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს შტატების გადაადგილება ან/და შემცირება.

2. რეორგანიზაციის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს სამ ეტაპად:

   ა) რეორგანიზაციის დაგეგმვა;

   ბ) რეორგანიზაციის აუცილებელი სამართლებრივი აქტების და ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება;

   გ) რეორგანიზაციის გამო შტატების გადაადგილების ან/და შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობა.

3. შეიქმნას რეორგანიზაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

   · გიგა გაბელაია - აბაშის მუნიციპალიტეტის მერი

   · დიმიტრი ცანავა- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

   · ემმა გაბელაია - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

4. მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა მერიის საჯარო მოხელეებზე და მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე გამოქვეყნება, ასევე თანამშრომელთა გაფრთხილება სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ.

5. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს რეორგანიზაციის დაგეგმვა და რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება მიმდინარე წლის 8 დეკემბრამდე;

6. რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ეცნობოს საჯარო სამსახურის ბიუროს;

7. რეორგანიზაციის პროცესი დასრულდეს ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 თვისა;

8. რეორგანიზაციის პროცესში მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს მერიისა და სტრუქტურული ერთეულების მოქმედი დებულებებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ # 247);

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი